№3 (9886) ◆ მარტი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

საქმის კეთების მოტივაცია არის

სამხარეო ადმინისტრაციაში, რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა სფეროში არსებული ვითარების გაცნობის მიზნით, გაიმართა გაფართოებული სამუშაო შეხვედრა, რომელზედაც რაჭა-ლეჩხუმ – სვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ** და სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების მერების, საკრებულოს თავმჯდომარეებისა და რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებისაგან მოისმინეს ვრცელი ინფორმაციები საკურატორო სფეროებში არსებული სიტუაციის შესახებ, განიხილეს მიმდინარე პროექტები და იმსჯელეს ამ ეტაპისთვის არსებულ აქტუალურ საკითხებზე.

მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებზე მსჯელობისას ითქვა, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული „განახლებული რეგიონები“, აგრეთვე „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების“ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ მოსახლეობის მიერ უკვე შერჩეულია დასაფინანსებელი პროექტები და ახლა ტარდება ღონისძიებები, კლიმატური პირობების გათვალისწინებით, პროექტების დროულად დაწყებისა და ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფად. ითქვა ისიც, რომ არ უნდა ვიყოთ სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსების მოპოვებაზე ორიენტირებულნი. საჭიროა ახალი რესურსების მოძიება და ადგილობრივი შემოსავლების ისეთი დაგეგმვა, რომ შესაძლებელი გახდეს ახალი პროექტების ჩასმა-ჩანაცვლებაც. პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე საუბრისას მისაღები წინადადება გააჟღერა ამბროლაურის მერმა **ზვიად მხეიძემ** იმასთან დაკავშირებით რომ მთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, დროის მოგების მიზნით, საკუთარი ძალებით მოხდეს პროექტირებები. ამის შესაძლებლობა არის.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმართვაზე მსჯელობისას არ დაუფარავთ მუნიციპალიტეტების თავკაცებს, რომ ტექნიკის სიმცირის გამო წლევანდელი სეზონი რთული იქნება. თუმცა ისიც ითქვა, რომ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, კლიმატური პირობების გათვალისწინებით და კერძო სექტორში არსებული ტექნიკის აღრიცხვა-ჩართვით შესაძლებელია ლოჯისტიკურად სიტუაციის დარეგულირება. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ შეიძლება გაკეთდეს ყოფილი „მექანიზატორის“ მსგავსი ტიპის მომსახურება.

შეხვედრაზე ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მიწების რეგისტრაციის, მომრავლებულ ფაროსანასთან ბრძოლის და ვაროატოზით დაავადებული ფუტკრის გადარჩენის საკითხები. ასევე დასარეგულებელია მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების, საქმიანი ეზოებისა და სავარგულების შეკეთება-შემოკავებისათვის საჭირო ხემასალის ხელმისაწვდომობის საკითხი. მართალია ახალი კოდექსი ამის შესაძლებლობას იძლევა, მუნიციპალიტეტს შეუძლია განკარგოს საკუთრებაში მქონე ტყე, მაგრამ მაინც ბევრი რამ ამ კუთხით დასაზუსტებელია, მაგალითად რეგისტრაცია-გამიჯვნა, გატყევებული ტერიტორიების ათვისება, სტიქიით დაზიანებული გზების, ხიდების აღდგენა და სხვა.

მოწონებულ იქნა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიხედვითაც რეგიონის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სამსახურებში გაჩნდა ვაკანსიები, მაგრამ ამ სიახლეს ახლავს რისკებიც. თუმცა მიზნობრივი ჯგუფებისათვის გათვალისწინებულ ამ პროგრამას აქვს მხარდაჭერა და იმედია, გაამართლებს.

მსჯელობის მიღმა არ დარჩენილა საბავშვო ბაღებში ინვეტარიდან დაწყებული შენობებით დამთავრებული, სასწრაფოების, სასოფლო ამბულატორიების, ნაპირსამაგრების, განათლებისა თუ სხვა სფეროებში არსებული პრობლემები, დაისახა მათი დაძლევის გზები და დაევალათ კიდეც ადგილობრივ თვითმმართველობებს საკრებულოების წევრებთან და მერების წარმომადგენლებთან ერთად იღვაწონ საერთო საქმისათვის, რომლის მზაობა არის და რისთვისაც რიგი სამსახურების ხელმძღვანელებმა მადლობაც დაიმსახურეს.

სახელმწიფო რწმუნებულის პაპუნა მარგველიძისა და პარლამენტარ გოჩა ენუქიძის განცხადებით რეგიონში საქმე კეთდება, კიდევ უფრო მეტის გასაკეთებლად მოტივაცია არის, იგრძნობა ერთმანეთისადმი მხარში დგომა. ე.ი. რესურსი არის და შევძლებთ გუნდურად ჩვენი წვლილის დადებას მხარისა და ქვეყნის წინსვლის საქმეში.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** ხელმძღვანელობდა.

თათბირზე, მიმდინარე პერიოდში, სხვადასხვა სფეროში განხორციელებული სამუშაოები განიხილეს და დაგეგმილ აქტივობებზე იმსჯელეს. ყურადღება გამახვილდა სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბურ პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 109 ვაკანსიაა გამოცხადებული.

თათბირზე ასევე იმსჯელეს სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე, განათლებისა და კულტურის სფეროებში არსებულ სიახლეებზე, ახალგაზრდული მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებზე, მათ შორის „ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიაზე“, რომლის შემუშავებაც ადგილობრივი ახალგაზრდების ინტერესებისა და გამოწვევების მაქსიმალური გათვალისწინებით მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურების ხელმძღვანელებმა დეტალური ინფორმაცია წარმოადგინეს პროექტების მიმდინარეობაზე. ისაუბრეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“, რომლის ფარგლებშიც თითოეულ სოფელში „საერთო კრება“ ან კონსულტაცია ჩატარდა და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები ხმათა უმრავლესობით გადაწყდა. შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა საკურატორო სფეროების მიხედვით კონკრეტული დავალებებიც მიიღეს.

„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, ქალაქ ამბროლაურში, მდ. კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანი,** რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან **პაპუნა მარგველიძესთან** და მუნიციპალიტეტის მერთან **ზვიად მხეიძესთან** ერთად გაეცნო. მკითხველს შევახსენებთ, რომ პროექტის ჯამური ღირებულება 4 553 234 ლარს შეადგენს და მისი დასრულება 2022 წლის ოქტომბერში იგეგმება.

უკრაინელი ხალხისათვის!

პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით ქვეყნის მასშტაბით უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი ღონისძიებები, ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება და საბანკო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა გრძელდება. პროცესში პირველი დღეებიდანვე აქტიურად არიან ჩართულები, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი **გოჩა ენუქიძე**, სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, რეგიონის ყველა ადგილობრივი თვითმმართველობა, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

რეგიონის მუნიციპალიტეტების – ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის მერების, ასევე კერძო და სამოქალაქო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით, პირველადი მოხმარების ნივთებისა და საკვები პროდუქტების შეძენა უკვე განხორციელდა და გადატანილ იქნა დასავლეთის პუნქტში.

მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, ჩვენი მეგობარი, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. შეგროვებულია 5 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი, რომელშიც შედის არამალფუჭადი პროდუქტები, პირველადი მოხმარების საგნები, სამედიცინო ნივთები და მედიკამენტები. ტვირთი უკვე გადატანილ-გადაგზავნილია და ტვირთის შეგროვება კვლავაც გაგრძელდება. უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი ღონისძიებები გრძელდება.

გახსნილია საბანკო ანგარიში: GE26BG0000000533612474
საქართველოს ბანკი ფონდი „გადავარჩინოთ უკრაინა“

* * *

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერვე, რიგგარეშე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე** და ესწრებოდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი **დავით გოგლიძე,** მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი, დაამტკიცა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ორიენტირი"-ს (ს/კ 221297674) შორის „სოფ. სადმელში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე" 2022 წლის 28 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №35 ხელშეკრულება. იმსჯელა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №86.19.23.026) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ და ცვლილებები შეიტანა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №01 და №22 დადგენილებებში.

სხდომამ განიხილა აგრეთვე მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

საკრებულომ შესაბამისად მიიღო დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა განკარგულებისა და დადგენილების პროექტი.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-9 რიგგარეშე სხდომამ განიხილა საკითხი „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ამბროლაურში გურგენიძის ქ. №10-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 86.19.23.005) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ", ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №20, 2021 წლის №99 და 2017 წლის №21 განკარგულებებში.

* * *

რეგიონში ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების მიზნით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ**, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან და რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა განხილულ იქნა ჯანდაცვის კუთხით არსებული გამოწვევები და ამ მხრივ გასატარებელი ღონისძიებები.

სამუშაო შეხვედრაზე რომელსაც ესწრებოდნენ სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება"-ს ხელმძღვანელი პირებიც გაჟღრდა სასიმოვნო ინფორმაცია.კერძოდ. მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა, რეგიონში გააძლიერონ ჯანდაცვის კუთხით არსებული სიტუაცია და ორმხრივი ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე გახსნან პირველადი გადაუდებელი დახმარების ცენტრი. აგრეთვე იმსჯელეს დიალიზის ცენტრის აუცილებლობაზე რეგიონში და ამ მხრივ გასატარებელ საჭირო ღონისძიებებზე.

სახელმწიფო რწმუნებულმა პაპუნა მარგველიძემ აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია რეგიონისათვის, როგორც გადაუდებელი ცენტრის, ისე დიალიზის ცენტრის არსებობის საკითხი, მან კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რამდენად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული იმ პაციენტების მდგომარეობა, რომლებიც საჭიროებენ დიალიზის პროცედურას და მადლობა გადაუხადა სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება"-ს ხელმძღვანელობას აღნიშნული ინიციატივისათვის და გამოთქვა მზაობა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობისთვის.

როგორც სახელმწიფო რწმუნებულმა აღნიშნა, ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად მუშაობა უკვე დაწყებულია.

* * *

რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** დეპუტატთან **გოჩა ენუქიძესთან** და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან – **ზვიად მხეიძესთან** ერთად დაათვალიერა ქ. ამბროლაურში მდებარე სამკერვალო საწარმო „რაჭა 2020", რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გასული წლის მაისიდან ფუნქციონირებს და იკერება სპეცდანიშნულების ტანსაცმელი.

სამკერვალოში 10-მდე ადგილობრივი ქალბატონია დასაქმებული, თუმცა შესაბამისი კადრების არსებობის შემთხვევაში საწარმოს შესაძლებლობა აქვს 50-მდე ადამიანი დაასაქმოს.

„მზის შვილები"

გაეროს ეგიდით 2011 წლიდან აღინიშნება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მსოფლიო დღე. თარიღი – 21 მარტი სიმბოლურადაა შერჩეული, დაუნის სინდრომი 21-ე ქრომოსომას გასამებით ვლინდება.

რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ**, სახელმწიფო რწმუნებულმა პაპუნა მარგველიძემ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** და საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ** „მზის შვილები" ე.ი. დაუნის სინდრომის მქონე პირები მოინახულეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა მხარდაჭერის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ღონისძიებები ხორციელდება. გასული წლის 14 ივნისს, სოფელ სადმელში გაიხსნა სოციალური ინკლუზიის ცენტრი, რაც 18 წლამდე ასაკის და 18 წელს ზემოთ მყოფ ბენეფიციარებს შესაძლებლობას აძლევთ ჰქონდეთ ადაპტირებული გარემო, სადაც ექნებათ დამოუკიდებლად და შეუზღუდავად გადაადგილების, დასვენებისა და განვითარების შესაძლებლობა. შშმ პირთა ხელშეწყობისთვის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამებიც ხორციელდება.

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა – „ოფთალმიჯის" ინიციატივითა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ხვანჭკარის ამბულატორიაში ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასო ოფთალმოლოგიური კონსულტაციები ჩატარდა. აქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ექიმი-ოფთალმოლოგი სოფიო იმედაშვილი, ექიმის ასისტენტი სოფო ჭავჭავაძე და კლინიკის რეგიონული მენეჯერი ელისო მეცხვარიშვილი იმყოფებოდნენ.

მოწვეულმა ექიმმა-ოფთალმოლოგმა კონსულტაცია გაუწია 40-მდე პაციენტს, რომელთაც სხვადასხვა სახის ოფთალმოლოგიური პრობლემები აღენიშნებოდათ.

სოფლებში პრიორიტეტები შეერჩეულია

25 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები მოადგილეებთან და სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა სოფელში იმყოფებოდნენ და ადგილობრივებთან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით კონსულტაციები გამართეს.

სოფლების დიდ ნაწილში პრიორიტეტებად გარე განათების მოწყობა, შიდა გზების რეაბილიტაცია, წყალსადენი სისტემების მოწესრიგება, სანიაღვრე არხების გაკეთება და კონკრეტული სოფლისთვის მნიშვნელოვანი სხვა მიმართულებები შეირჩა.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში დაფინანსდება 10-დან 16 ათას ლარამდე ღირებულების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტის მერის ზვიად მხეიძის განმარტებით მნიშვნელოვანია, რომ განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტულობას მოსახლეობა თავად განსაზღვრავს. შესაბამისად, ეს პროგრამა ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მათი სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებასა და თემის პრიორიტეტების შერჩევაში.

„ქალთ იქმ ქრისტე, ძმა იმრთველთ, ქებულ-ე ქენი სამყართ“

გაზაფხული

სიცოცხლის განახლებასთან ასოცირებული წელიწადის ეს დრო უკვე შემობრძანდა. ამბობენ გაზაფხული ბედნიერი ქალის შინაგანი სამყაროს მსგავსია და ალბათ ამიტომაცაა მისი პირველი თვე ქალთა დღესასწაულებით დატვირთული. 3 მარტი – დედის დღე, 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე... ე.ი. დადგა სიყვარულისა და ბედნიერების პერიოდი, ზღაპრული სილამაზის, ამწვანებული, ფერწერული ტილოსავით, რომ დაეფინება დედამიწას.

ძვირფასო ქალბატონებო, თქვენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტესობას წარმოადგენთ. გილოცავთ და გისურვებთ სულის გაზაფხულისამებრ ბედნიერებას, სიყვარულს, სითბოს, ღიმილს, ხალისიან განწყობილებას, შვილთა სიმრავლეს, მშვიდობას.

მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, პარლამენტარმა **გოჩა ენუქიძემ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ **ასლან საგანელიძემ**, მერმა **ზვიად მხეიძემ** და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად მაინც შეძლეს უმრავლესობასთან პირისპირ შეხვედრა, სოციალური ქსელით მოსალმება-დალოცვა შემდეგი სიტყვებით:

ძვირფასო ქალბატონებო, ღვთისშობლის კალთა გადაფარებულთ გევლოთ ამაყად, თქვენი შვილების, ოჯახებისა და სრულიად საქართველოს სამშვენისად.

გილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს გისურვებთ მრავალი გაზაფხულისთვის გემასპინძლოთ მშვიდობიანი ცის ქვეშ.

გილოცავთ!

მთავარია სინდისი გქონდეს სუფთა

ნებისმიერ ადამიანს ცხოვრებაში დრო, რაღაც დასრულებამდე ათვლილი აქვს. ამიტომ ჯერ კიდე ვერავინ დაადგინა ადამიანები ქმნიან დროს თუ დრო ქმნის ადამიანს.მთავარია, როგორ ვასრულებთ იმ დავალებას რასაც სასიკეთო საქმის კეთება ჰქვია. არა აქვს მნიშვნელობა დიდია თუ პატარა, რეზონანსული თუ ჩუმი. მთავარია, რის კეთების უნარიც დაგანათლა უფალმა იყოს სასარგებლო, სწორად წარმართული და როგორც ირგვლივ მყოფებთან ისე ქვეყნის წინაშე სინდისი გქონდეს სუფთა.

ქალისთვის უპირველესად ესაა ოჯახი, შვილების სწორად აღზრდა და თუ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ღირსეულად უმკლავდები, მთლად კარგია. საბედნიეროდ, შემდგარი ქალები საკმაოდ გვყავს მუნიციპალიტეტში, მაგრამ ისეთებიც, რომლებიც, ერთი შეხედვით უბრალონი, ჩვეულებრივ რიგითები, მაგრამ საზოგადოებაში თავიანთი ცხოვრების წესით მისაბაძი და დაფასებულნი. ამჯერად ორი ასეთი ქალბატონი მინდა წარმოგიდგინოთ: **გუგულა ჩაკვეტაძე-ტაბუცაძე** და **ლამარა ცხვირაშვილი-გვენცაძე**.

პირველი რძალია ამბროლაურელების. წარმოშობით ხონიდან. დღეს სოფელ გორის მკვიდრი, ხოლო მეორე ჩვენებურია, პირველი ტოლიდან, ოღონდ ჩორჯოში დამკვიდრებული.

ქალბატონი გუგულა მედიცინის მუშაკია, წყალტუბოს ერთერთი სანატორიუმის მოწინავე მედდამ, როცა ცხოვრება ბატონ ოთარ ტაბუცაძეს დაუკავშირა, არც უფიქრია ქალაქისაკენ გაწევა, დამკვიდრდა აქ 54 წელიწადი იმუშავა ამბროლაურის სავადმყოფოში. როგორც კვალიფიციურ სპეციალისტს, პუნქტუალურ, სანდოს და ერთგულ ადამიანს დაფასება და სიყვარული არ მოკლებია უფროსებისაგან, კოლეგებისაგან და იმ უამრავ პაციენტებისაგან, რომლებსაც მისი ხელი შეხებია.

ქალბატონი ლამარა არაერთხელ მოხვედრილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე როგორც საკოლმეურნეო საქმიანობის აქტიური მონაწილე და მოწინავე მეაბრეშუმე. თუმცა მისი ჰობი ბავშობიდანვე კერვა იყო და ჩორჯოელების რძალი უამრავ სხვა საქმესთან ერთად მაინც ასწრებდა ოჯახის სწორად გაძღოლასაც და გასათხოვარი გოგონების საკუთარი ესკიზებით შექმნილი ნამუშევრებით შემოსვას.

ორივე ქალბატონს სხვადასხვა დროსა და ადგილზე დასმულ კითხვაზე თუ რა არის ოჯახური ბედნიერების საყრდენი პასუხი ერთნაირი აღმოაჩნდათ. ოჯახური ბედნიერების საყრდენი არის სწორი ზნეობრივი ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, რომელიც გულისხმობს ერთმანეთის სიყვარულსა და ერთგულებას, რასაც აუცილებლად ხედავენ შვილები და როცა დედა კიდე უფრო ზრდის მათში, თავისი ცხოვრების წესით, პასუხისმგებლობის გრძნობას მაშინ შვილებსაც უჩნდებათ სურვილი, რომ თვითონაც ასეთივენი იყვნენ მშობლების, ერთმანეთის და საზოგადოების მიმართ.

ასეთი მორალით იცხოვრეს ამ ქალბატონებმა გუგულამ უკვე 89 წელი, ლამარამ 91 წელი. ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა მათი ცხოვრება, იყო სიძნელეებიც, მაგრამ მოთმინებამ და სულიერმა სიძლიერემ ბევრი რამ შეაძლებინათ. ბედიც თითქოს მსგავსი აქვთ. ორივემ დაკარგეს ცხოვრების მეგზური და რაც ყველაზე ძნელი და მტკივნეულია მათთვის შვილმკვდარი დედები ჰქვიათ.

მაინც ღირსეულად მიიღეს ჩვენგან დედისა და ქალთა დღეების მილოცვა. ქალბატონმა გუგულამ შვილიშვილის – ნანას გარეგოცვაში, ხოლო ლამარამ გარდაცვლილი ქალიშვილისა და ვაჟის შთამომავლებთან ერთად... მათით ხარობენ, მათ ბედნიერებას შესთხოვენ უფალს და მშვიდობას სრულიად საქართველოს. ღმერთმა გისმინოთ ქალბატონებო!

დ. დარგაიძე

თანადგომა დიდი ძალაა

სოფელ ლიხეთში მცხოვრებ ხუთი შვილის დედას – ირმა ტოროშელიძეს ხანძარმა საცხოვრებელი სახლი მთლიანად გაუნადგურა. მისი ტკივილი თანასოფლელებთან ერთად მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გაითავისა. პირველივე წუთებში პრობლემის ადგილზე გაცნობით, თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ**, საკრებულოს თავჯდომარემ **ასლან საგანელიძემ**, მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა და პირველადი საჭიროების ნივთებიც გადასცეს. მუნიციპალიტეტის მერია ხანძრით დაზარალებულ ოჯახს სოციალური პროგრამის ფარგლებში გაუწევს დახმარებას. მოქალაქეთა მხრიდანაც დიდია მხარდაჭერა და თიბისი ბანკში უფროსი ვაჟის – ბექა ტოროშელიძის სახელზე ანგარიშიც გაიხსნა. კეთილო ადამიანებო შეგახსენებთ ანგარიშის ნომრებს: ლარში – GE73TB7638936080100000 9;

დოლარში – GE42TB7638936180100000 1

ჩვენც ამბროლაურის მოამბელები შევეცადეთ მოკრძალებულად, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოგვეხატა თანადგომა და ამავდროულად მიგველოცა დედის და ქალთა საერთაშორისო დღეები დაზარალებული დედისადმი: გამაგრდით ქალბატონო ირმა კეთილი ადამიანები გიდგანან მხარში. თქვენ გაძლიერებთ ისიც, რომ 5 შვილის დედა ხართ. ბექა და ბაქარი უკვე გეხიდებიან უმცროსების ბაკურის, ბაჩოსა და მარიამის დაკვალ იანებაში. ისინი ჯერ მოსწავლეები არიან და მზრუნველობა არც ლიხეთის საჯარო სკოლის პედაგოგებისაგან მოაკლდებათ. გვჯერა, თქვენი შვილები საზოგადოების გვერდში დგომას დაინახავენ და დააფასებენ თავიანთი სწორი ქმედებით. რაც მთავარია და საამაყო, თქვენებურებმა გვითხრეს: მშრომელი, პატიოსანი ოჯახიაო. ამ შეფასებაზე მეტი ჯილდო რა უნდა იყოს. ოღონდ გამართლება უნდა. თქვენი ყველა დარდი გაჰყოლოდეს იმ ფერფლს, რომელსაც დღეებია ცდილობთ თვალი აარიდოთ. ამიერიდან თქვენი შვილებით გახარებულს გევლოთ ამქვეყანაზე. უფალს ებარებოდეთ.

ამბროლაურის მაამებელი!

მოგესალმებით ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთებიდან კოლეგები. გილოცავთ ჟურნალისტიკის დღეს, გაზაფხულის შემობრძანებას ქალთა ლამაზი დღესასწაულებით.

გთხოვთ მიაწვდინოთ ჩვენი მილოცვა და სიყვარული მონატრებულ რაჭველებს, გამორჩეულად მაინც ქალბატონებს.

ამავდროულად დიდი მადლობა თქვენ, რომ არსებობთ და არ ივიწყებთ ონში ჯერ კიდევ შემორჩენილ ებრაელებს.

ჩვენ არ გვავიწყდებით, ვიცით თქვენც გახსოვართ. და გვჯერა ასე იქნება მარადჟამს.

თქვენებურები,
დიდი მონატრებით, ბეერ-შევიდან

მადლობა უკრაინელი ხალხის სახელით

არ ვარ თქვენთვის უცხო. ათეული წლებია თქვენს გვერდით ვცხოვრობ და ამისათვის არაერთხელ ამიხსნია თქვენთვის სიყვარული. მე, ეროვნებით უკრაინელი ქალი თქვენიანად ვთვლი თავს და ამიტომაც მაღელვებს ერთნაირად ორივე სამშობლოს ბედი. ჩემი ფესვები მაინც ხომ უკრაინაშია, სადაც ჩემი სისხლი და ხორცნი ცხოვრობენ და ამდენად გამიგებთ იქ შექმნილი სიტუაციით რა მდგომარეობაში ვიმყოფები. ვგრძნობ, ვხედავ თქვენს თანადგომას, უკრაინელი ხალხისადმი სრულიად საქართველოს მხარდაჭერას. უკრაინელი ხალხის, საქართველოში მცხოვრები ჩემი თანამემამულეების სახელით, გიხდით მადლობას რიგით ამბროლაურელს, სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებს, სამსახურების თანამშრომლებს, მაჟორიტარ დეპუტატს, მის ბიუროს... ყველას, ყველას დიდი მადლობა. ვლოცულობ მშვიდობისათვის და ერთნაირად ვევედრები ღმერთს დაიცვას ჩემი ორი სამშობლო. მშვიდობიანი ცის ქვეშ ცხოვრებას და შვილების ბედნიერებას ვუსურვებ ქალბატონებს. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა, უფალი ფარავდეს თქვენს ოჯახებს, უკრაინასა და საქართველოს!

პატივისცემით **ნინა პისარევა**

შვილის საჩუქარი-მილოცვა დედას

კარგია, რომ ტექნიკურმა პროგრესმა ქალი ოჯახიდან გამოიყვანა და თავის დამკვიდრების საშუალება მისცა, მაგრამ დამაფიქრებელია, რომ პრაქტიციზმმა დაარღვია მისი ფაქიზი ქალური ბუნება. თანამედროვე ქალმა დაკარგა კდემამოსილება, სისადავე, გაუნელდა შვილების ყოლისადა მათი აღზრდის სურვილი. არადა ქალის უპირველესი დანიშნულება ხომ დედობაა. განგებამ სიცოცხლის გამგრძელებლის ფუნქცია როდის დააკისრა. მას – ქალს, როგორც მეუღლეს, დედას, მოღვაწეს არამედ იერარქიის დაცვის პარარელურად ოჯახის წევრთა სულიერ კიბეზე ამაღლების მეგზურობაც. ოჯახისა, სადაც ყალიბდება ბავშვის ფსიქიკა, სადაც ეზიარება რწმენას, სიყვარულს და ყალიბდება პიროვნულად.

მადლობა უფალს, რომ ჩვენს ქვეყანას და შესაბამისად, მუნიციპალიტეტსაც ჯერ კიდევ მრავლად ჰყავს ასეთი ოჯახები. ერთ-ერთ იმათგანად მიგვაჩნია სოფელ ღვიარაში **მარინა** და **გია ჯოხაძეების** სიყვარულით შექმნილი ქრისტიანული ოჯახი. აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, პროფესიით პედაგოგი და ექიმი, 3 ვაჟკაცს უზრდიან ქვეყანას. სამივე გამორჩეულნი და მისაბაძნი

სოფელშიც, სკოლაშიც ზრდილობით, შრომის მოყვარეობით, ნიჭიერებით.

დემეტრემ უკვე მიიღო უმაღლესი განათლება საერთაშორისო ეკონომიკის განხრით და მუშაობს კიდეც. **ცოტნე** წარჩინებული სტუდენტია, ხოლო **ერეკლე** არაერთ კონკურსში გამარჯვებული, ქალაქის პირველი საჯარო სკოლის მე-12 კლასის გამორჩეული მოსწავლეა, სწავლითაც, მეგობრობითაც, უფროსებისადმი პატივისცემითაც.

ახლახანს მან მშობლებს, გამორჩეულად დედას განსაკუთრებული საჩუქარი გაუკეთა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეების აღსანისნავად. იგი მე-11 სასკოლო სეზონის ხალხის რჩეულია და გამარჯვებულ გუნდთ ან ერთად კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში გაემგზავრება.

დედისათვის, სხეულით რომ გრძნობს შვილების სულიერ თუ ხორციელ სატკივარს, ბოლომდე რომ იხარჯება იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მათი ცხოვრების გზა, იმაზე დიდი ბედნიერება რამ უნდა მიანიჭოს თუ არა შვილების წარმატებამ და აღიარებამ.

მარინა ჯელაძე-ჯოხაძეს ახარებენ, ღირსეული მამულიშვილების სახელების მატარებელი, შვილები: დემეტრე, ცოტნე, ერეკლე. ვუერთ დებით მათ მილოცვას და ჩვენც გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას მანდილოსანთა დღესასწაულებით. თქვენთან ერთად იმ უბნის ქალბატონებს, სადაც სრულიად ახალგაზრდა წარგადგინა გიამ და დაფუძნდი, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებს, ყველა ქალს განურჩევლად ასაკისა. ამავდროულად მადლობას ვეუბნებით ერეკლეს კარგი შვილობისათვის და იმისთვის რომ ასახელა არამარტო მშობლიური სკოლა, არამედ მთელი მუნიციპალიტეტი, რომლის მოსახლეობა, განსაკუთრებით თანატოლები გულმხურვალედ რომ გულშემატკივრობდნენ მის გუნდს, როცა ისინი ტელეეკრანიდან ეპაექრებოდნენ ცოდნის გამოვლენაში მათსავით ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ნ. დალაქიშვილი

ტურისტული სეზონი იწყება – ცენტრი მზადაა

ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების, ისე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. შესაბამისად ამ კუთხით სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობისა და „ტურისტული ცენტრის“ სწორად წარმართული საქმიანობა რეკლამირებისა თუ ტურისტულად მნიშვნელოვანი ლოკაციების შესახებ ინფორმაციული პლათფორმის შექმნა განაპირობებს კიდეც რაჭისადმი ინტერესსა და ვიზიტორთა ნაკადის ზრდას. რაც „ტურისტული ცენტრიდან“ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდანაც ნათლად ჩანს. 2016 წელს მუნიციპალიტეტს სტუმრობდა 1617 ვიზიტორი. 2017 წელს 2882. 2018 წელს 3482, ხოლო 2019 წელს 3313. შესაბამისად მუნიციპალიტეტში იმატა სასტუმროების, ჰოსტელებისა და დასაქმებულთა რიცხვმა. მართალია, ბოლო პერიოდის მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო „ტურისტულ ცენტრს“ უმეტეს წილად უწევდა დისტანციურ რეჟიმში მუშაობა, მაგრამ ჩვენი ღირსშესანიშნაობების, უნიკალური, ეკოლოგიურად სუფთა ბუნების რეკლამირების მიზნით არ შეფერხებულა ოფიციალური ფეისბუკ გვერდის (inracha) განახლება, საფეხმავლო ბილიკების შემოვლა-მონიტორინგი, გაწმენდითი, მარკირების განახლებისა და ახალი ლოკაციების აღმოჩენის სამუშაოები. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ ცენტრებთან მუდმივი კომუნიკაციით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ტურისტული ცენტრებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ტურისტულ სფეროში კონკურეტუნარიანი მომსახურების განვითარებას, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ონლაინ ტრენინგებში ჩართვას... „ამბროლაურის ტურისტულმა ცენტრმა“ ორგანიზება გაუკეთა და მაღალი შეფასებაც მიიღო. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GN) შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, ონლაინ ტრენინგს – „ონლაინ გაყიდვები“.

ცენტრის თანამშრომლები მუდმივად სატელეფონო თუ ონლაინ კავშირზე გასცემენ ინფორმაციებს და კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებზე ქართულ და უცხოურ ენებზე, რამაც უზრუნველყო. ეპიდემიის მიუხედ ავად 2021 საანგარიშო წლის სეზონის ღირსეულად წარმართვა და მომსახურებოდა 4874 ვიზიტორს.

2022 წლის გაზაფხული ძალას იკრებს, ტურისტული სეზონიც იწყება, სამოქმედო გეგმაც დამტკიცებულია. აღრიცხულია და ტურისტულ ცენტრის ბაზაში ფიქსირდება ქ. ამბროლაურში 4 სასტუმრო, 2 ჰოსტელი, და 34 საოჯახო სასტუმრო, ხოლო მუნიციპალ იტეტის ტერიტორიაზე 3 სასტუმრო და 40 საოჯახო ტიპის სასტუმრო.

ტურისტული სეზონისათვის მზად ვართ, თუმცა არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრა კიდევ უფრო ეფექტურს გახდის ცენტრის საქმიანობას მთლიანად. სერიოზულ სიძნელეებს ქმნის მაღალი გამავლობის ტრანსპორტის არ ყოლა, ვიდეო რგოლებისთ ვისაც გვჭირდება ფინანსები.

მართალია ტურისტები, ვიზიტორები, სხვადასხვა რანგის სტუმრები მაღალ შეფასებას აძლევენ რაჭულ სამზარეულოს, მაგრამ შენიშვნებს ვიღებთ მათ გან იმის გამო, რომ ქალაქში უნდა იყოს გართობის ერთი ადგილი მაინც. ვფიქრობთ, სწორი შენიშვნაა, რადგან ექსკურსიიდ ან თუ ლაშქრობიდან დაბრუნებულნი, საოჯახო სასტუმროებსა და ჰოსტელებში დასვენება-გართობის მიზნით გამართულ ვახშამზე მუსიკისა თუ ცეკვა-თამაშის ხმაურით წუხდება მოსახლეობა. შეიძლება ამ კუთხით შესაბამის სამსახურებთ ან თანამშრომლობით მართლაც გამოიძებნოს შესაფერისი ლოკაცია. თავის მხრივ „ტურისტული ცენტრი“ ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს იმისთვის, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და ზოგადად რაჭაში მყოფ ვიზიტორთ კვლავ გაუჩდეთ განმეორებით სტუმრობის სურვილი, რაც კუთხის ცნობადობას კიდევ უფრო მეტად გაზრდის.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები. მათ დაასუფთავეს და მყარი ნარჩენებისაგან გაწმინდეს ქალაქ ამბროლაურში არსებული სკვერები, სპორტული მოედნები და ტურისტულად მიმზიდველი ადგილები.

დასუფთავების აქცია კამპანია „ლურჯი ნაკადული“-ს ფარგლებში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა.

საქართველოს ჩემპიონატზე **კუნგ-ფუ სანდაში** ამბროლაურის სასპორტო სკოლის KUDO-ს გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ: **ანა მომცელიძე, ლიზი ჩიტიძე, სალომე კილასონია, ლუკა** და **გუგა დარახველიძეები, ვასილ დვალაძე, ნიკოლოზ მურუსიძე, გიორგი დავითულიანი, ლუკა ნასარიძე** და **ნიკა შერმაზანაშვილი** (მწვრთნელი **დავით დუშუაშვილი**), ბრწყინვალედ იასპარეზა. მოპოვებულია 7 ოქრო, 3 ვერცხლი და გუნდური პირველი ადგილი.

ვულოცავთ და გვჯერა, კვლავაც არაერთხელ გაგვახარებენ.

ვეტლაბორატორია მოსახლეობის სამსახურში

რატომღაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჰგონია, რომ წლების წინ ვეტლაბორატორიის გაუქმების შემდეგ ამბროლაურში მსგავსი პროფილის სამსახური არ არსებობს. არად აქ. ამბროლაურში 2008 წლიდან ფუნქციონირებს აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTBA) მხარდაჭერით, თანამედროვე სტანდარტების ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბიოუსაბრთხოების მე-2 დონის ლაბორატორია, სადაც დანერგილია ASO 9001-2015 ხარისხის მართვის სისტემა და ემსახურება რეგიონის ოთხივე მუნიციპალ იტეტს (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) ვეტლაბორატორიაში ხდება ნიმუშების მიღება, დამუშავება და კვლევა. კვალიფიციური სპეციალისტები **გია ოშხერელი** (უფროსი), **გიორგი სუთიძე** და **დარეჯან საღარაძე** ახდენენ ცხოველთა და ფინველთა ინფექციური, არაინფექციური და ინვაზიური დაავადებების კვლევას. კერძოდ: **ბრუცელიოზის, მასტიტის, ტრიქინელოზის.** ე.ი. ხორციელდება დაავადებების დიაგნოსტიკა: **პათოლოგიური ანატომია, სეროლოგია, მიკროსკოპია**. დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად ლაბორატორიის გამოცდილი მუშაკები სისტემატიურად მუშაობენ როგორც არსებული მეთოდების სრულყოფილებაზე, ისე ახლის დანერგვაზე. შედეგად 2019 წელს დაინერგა ბრუცელიოზის ფლუროსენტრული პოლარიზაციის ანალიზზე (FFA) და 2021 წლიდან წყლის მიკრობიოლოგიური კვლევები. აღსანიშნავია ხაზგასმით ის ფაქტი, რომ ლაბორატორიას ყველა კვლევაზე გავლილი აქვს **აკრედიტაცია**. სტატისტიკით ლაბორატორიაში ნიმუშების შემოდინება ხდება **სურსათის ეროვნული სააგენტოდან**, **კერძო პირებისაგან** (ფერმერებისაგან) და **ბიზნეს ოპერატორებისაგან**. იშვიათად, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში შემდეგი კვლევისათვის ნიმუშების გადატანა ხდება ქუთაისისა და თბილისის ლაბორატორიებში. ასე, რომ ძვირფასო მკითხველო ვეტლაბორატორია (სოფლის მეურნეობის სამინისტროსი) ფუნქციონირებს ამბროლაურში და კარგადაც. შემდეგ მისამართზე, ბრატისლავა რაჭის ქ. №2 (ადრე №13).

აღნიშნული სამსახური ალბათ იმსახურებს 50 მეტრიანი გზის მოწესრიგებას რაც დიდ თანხებს არ საჭიროებს. აქვე იმასაც დავძენთ რომ სჯობია ზოგიერთმა ყველაფრის მცოდნე „პროფესორმა“ გზის ამ მონაკვეთის მანქანით თუ ფეხით (სავად მყოფოსა თუ სასწრაფოში) გადაადგილებისას იკითხოს მაინც – ამ შენობაში რა სამსახური ფუნქციონირებს. თუ ვინმე „პროფესორებისაგან“ ამოიცნობს თავს და დაინტერესდება, შეუძლიათ მოაკითხონ რედაქციას. პასუხს აუცილებლად მიიღებენ.

დავეხმაროთ შვილს ვალდებულების შესრულებაში

მამის ხსოვნის წინაშე ვალდებულება მაქვს – გაგვიცხადა **ნათია წულუკიძემ** და დახმარება გვთხოვა მის ასრულებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ სურს აღად გინოს ხის ის ჩუქურთმა, რომელიც ათეული წლების წინ ამშვენებდა მამა-პაპისეული სახლის აივანს სოფელ ხვანჭკარაში.

საქმე იმაშია რომ სახლიდან მოხსნილი ჩუქურთმები შემდეგ ამშვენებდა თურმე იმ შენობას, რომელიც იდგა ამბროლაურში დღევანდელი ეკლესიის ეზოში, სადაც ადრე კერძო მობინად რეები ცხოვრობდნენ, შემდეგ გადაკეთ და პარტიის რაიკომის მდივნების საცხოვრებლად, ხოლო გასული საუკუნის 90-იან წლებში იქ ფუნქციონირებდა მმაჩის ბიურო.

როცა 8 წლის იყო მაშინ გარდაიცვალა მამა – შაორის გეოლოგიური პარტიის ერთერთი ხელმძღვანელი პირი, **გიორგი წულუკიძე**, რომელიც დღეს ბევრს ახსოვს ამბროლაურში და პატივისცემითაც მოიხსენიებენ. გეოლოგები პროფესიის შესაფერისები მარტო ცოდნით კი არ იყვნენ გამორჩეულები, არამედ ვაჟკაცობითაც, რაც თავისთავად გულისხმობს გამძლეობასაც, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსაც, სინდისსაც და ნამუსსაც.

8 წლის გოგონას მეხსიერებას კარგად შემორჩა მამის გარდაცვალების შემდეგ ვინ როგორ მოექცა მის ცოლ-შვილს. ახსოვს ის ფინური კოტეჯიც, შაორზე სადაც ცხოვრობდა ის მშობლებთ ან ერთად და ურთიერთობდა თანატოლებთან. ახლა ხელოვნებათ მცოდნეობის დოქტორი, ორი წიგნის ავტორი, შემოქმედი ქალი ფოტოგრაფიითაც რომაა გატაცებული, სთხოვს გაზეთის მკითხველებს იქნებ საოჯახო ალბომში აღმოაჩნდეთ იმ სახლთან გადაღებული ფოტო, საიდანაც აიღებს ასლს და აღადგენს მეუღლის ხელშეწყობით წლების წინ დაბრუნებულ წინაპართა ტერიტორიაზე აგებულ ხის მოჩუქურთმებულ აივანს იმ სახლზე, რომელსაც უკვე წლებია ზაფხულობით ახმაურებენ მისი ვაჟები: **გიორგი, ნიკუშა** და **დაჩი გუგუციძეები** და რომელთა მობრუნება-დაფუძნება ხვანჭკარლებსაც ძალიან ახარებთ.

დავეხმაროთ ძვირფასო მკითხველო 39 წლის შემდეგ ნათია წულუკიძეს მამის ხსოვნის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულებაში. გადაათვალიერეთ ფოტო ალბომები, იქნებ ვინმეს ცაცხვის ქვეშ გადაღებულ ფოტოებზე აღმოჩნდეს ობიექტივში მოხვედრილი ხის სახლი. მაშინდელ ახალგაზრდებს უყვარდათ ისტორიულ ცაცხვის და ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნა, ყაზარიასა და სიმონიკას ობიექტივის წინ ფოტოების გადაღებაც. ნუ დაიზარებთ და შემოგვეხმიანეთ.

იმედის მომცემი სპორტსმენი

ანი მეტონიძე სადმელის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა და უკვე სერიოზულ განაცხადს აკეთებს სპორტის ისეთ მიმზიდველ სახეობაში, როგორიცაა მაგიდის ჩოგბურთი. ის თანატოლებს შორის მიმდინარე შიდა თუ ღია ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორია.

გასული წლის შემოდგომაზე წყალტუბოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს 12 და მეზობელი ქვეყნების 3 გუნდი, მან დაიკავა მე-3 ადგილი. ანი საქართველოს ნაკრების წევრიცაა და თავის ასაკობრივ ჯგუფშიც მესამე პოზიციაზეა.

ამჟამად თავის პედაგოგ-მწვრთნელ გია თომაძესთან ერთად ემზადება იმ ტურნირებისათვის, რომლებიც სტარტს აპრილიდან აიღებს. იმედია, ანი გაახარებს თავის მიღწევებით იმ ამბროლაურელ გულშემატკივრებს, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ მოჭიდავეებისა და კარატისტების მსგავსად მუნიციპალიტეტს ჰყავდეს გამარჯვებულები სპორტის სხვადასხვა სახეობებშიც, მითუმეტეს მაგიდის ჩოგბურთში.

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაჯური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.